ᲛᲠᲝᲚᲔᲑᲐᲠᲔᲑᲝᲜᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

KOMUNISTI ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲠᲘᲡ. ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 წ. № 216 (7169). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

## ᲜᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐ!

წითელი არმია აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა და გერმანიის პირველი ქალაქები დაიკავა. ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის სარდლობით შეტევაზე გადავიდნენ, გერმანელთა თავდაცვა გაარღვიეს, აღმოსავლეთ პრუსიის თარგლებში შეიჭრნენ და მის ტერიტორიაზე დაიკავეს 400-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ამ დასახლებულ პუნქტებს შორის არის ქალაქები შირვინდტი, ეიდტკუნენი, შტალუპენენი, გოლდაპი, რომლებიც მტრის თავდაცვის მძლავრ დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ.

დადგა დღე, რომელსაც ასე ელოდნენ ჩვენი მეომრები. ამ დღეზე ოცნებობდნენ მებრძოლები, სტალინგრადთან რომ იბრძოდნენ, მასზე დაუცხრომლად ფიქრობდნენ ისინი, როდესაც ჩვენი გაპარტახებული ქალაქებითა და სოფლებით მიდიოდნენ და სულ უფრო და უფრო შორს დასავლეთისაკენ მიერეკებოდნენ მტერს. მთელი ჩვენი არმია ოცნებობდა ამ დღეზე, რომელიც უნდა დამდგარიყო—და დადგა ეს დღეც.

ომი გერმანიის ქალაქებსა და სოფლებში შევიდა. ახლა გერმანიის არმია იძულებულია იბრძოლოს უკვე საკუთარ სახლში, იმ სივრცეზე, რომელსაც ჰიტლერელებმა „გერმანიის შინაგანი ცხე“ უწოდეს. გერმანიის კარიბჭე შეღებულია, გერმანიის თავდაცვის ხაზები მის საზღვრებზე გარღვეულია ყველგან ფრონტით.

ის ადგილები, სადაც წითელი არმია შევიდა, კარგად ახსოვს ყველას პირველი მსოფლიო ომიდან. იმავე ქალაქების სახელები, რომლებიც 1914 წელს გვხვდებოდა, კვლავ მოხსენიებულია ცნობებში. ეს ადგილები გვაგონებენ არა მარტო ახლო წარსულის ბრძოლებს: აქედან ბევრჯერ დაწყებულა გერმანიის გაუმაძღარი იმპერიალიზმის ავანტიურა ლაშქრობანი. გერმანული „დრანგ ნახ ოსტენ“ — „შეტევა აღმოსავლეთისაკენ“. აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორია ხელთ იგდეს გერმანელმა ბარბაროსებმა, იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე განიცდიდა ძალადატანებას გერმანელებას და, გერმანელ ბარონთა ნადავლი რომ გახდა, ყველა მეზობლისათვის ომის საფრთხის მოდგმის კერად გადაიქცა. აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული მოდგმა გონებაჭლონგი, გოლქვა და თავხელი პრუსიელი ბარონებისა, მემამულე-მებატონეებისა, რომლებიც ოცნებობდნენ ხელში ჩაეგდოთ სხვისი მიწა-წყალი, დაეპყროთ ყველა ხალხი, გაბატონებულიყვნენ მთელ მსოფლიოზე. დღეს საბჭოთა მეომრის ფეხი სთელავს მხეცის ბუნაგს—პრუსიელობის სამშობლოს.

გერმანიის სამხედრო სარდლობა სასოწარკვეთილი ღონისძიებებით ცდილობდა თავიდან აეცილებინა ან თუნდაც გადაედო ჰიტლერული იმპერიის ფარგლებში საბჭოთა ჯარების შეჭრის ჟამი. იგი იმედოვნებდა ფლანგებზე, ფინეთსა და ბალკანეთში, ხანგრძლივი წინააღმდეგობით მოეგო დრო. ჰიტლერული სარდლობის ვარაუდი ამჯერადაც მცდარი და მანკიერი აღმოჩნდა. წითელმა არმიამ საშუალება არ მისცა გერმანელებს გაეჭიანურებინათ ბრძოლა ფლანგებზე: მან თავისი შეტევა სამხრეთში და ჩრდილოეთში სწრაფი ტემპებით ჩაატარა. ზაფხულის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ უმძიმესი დამარცხებები მიაყენა გერმანელებს, გაანადგურა გერმანიის სატელიტთა არმიები.

ამჟამად წითელი არმიის ჯარებმა დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთ პრუსიაზე. აქ გერმანელთა თავდაცვა მძლავრ სიმაგრეებს ეყრდნობოდა, აქ გერმანელთა ჯარები სს-ელთა რჩეული დივიზიების მეთაურობით, უაღრესი გაფიცრებითა და შეუპოვრობით იბრძვიან. მაგრამ ყოველი დამარცხებაც, რომელსაც აქ გერმანელები განიკდიან, განსაკუთრებით საგრძნობია მათთვის და მტაცენულად მოქმედებს მთელ გერმანიაზე.

წითელი არმიის ახალი გამარჯვება უსასტიკეს ლახვარს სცემს გერმანელთა უკანასკნელ იმედებს. გერმანია მარწუხშია მომწყვდეული, და მარწუხი გარდუვალად უჭერს მას. გერმანიის კარიბჭე შელეწილია აღმოსავლეთით და დასავლეთით. გერმანელთა თავდაცვის რამოდენ ახალ ხაზსაც უნდა შეხვდნენ ჩვენი ჯარები მომავალში. აღმოსავლეთ პრუსიის გაროვიეულ ხაზს იქით, ისინი პირისაგან მიწისა აღგვრან ამ ხაზებს.

წითელმა არმიამ თეხი შესდგა ფაშისტი მხეცის ბუნაგში. იგი მტკიცე რწმენით აღსავსე მიდის ჰიტლერული ბუნაგის სიღრმეში. რათა ბოლო მოუღოს ფაშისტ ურჩხულს. ბედნიერი იყოს თქვენი გზა, მამაცო საბჭოთა გმირო მომრიგებო!

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ“ 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲘ

### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

## ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲠᲔᲞᲐᲢᲠᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ი. გოლიკოვი** დანიშნულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად იმ საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეებზე, რომლებიც ტყვეობაში იმყოფებოდნენ და ძალდატანებით წაყვანილი იყვნენ გერმანიაში და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

მის მოადგილეებად დანიშნული არიან: გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ვ. პეტროდინოვი** და გენერალ-ლეიტენანტი **კ. დ. გოლუბევი.** რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის თანაშემწეებად დანიშნული არიან გენერალ-მაიორი **ვ. მ. დრაგუნი** და **ა. ა. სმირნოვი.**

რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულს დაკისრებული აქვს უხელმძღვანელოს სსრ კავშირის მოქალაქეთა დაბრუნებას გერმანიიდან და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან, წითელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარების მიერ მათი განთავისუფლების მიხედვით, და მოაწყოს სსრ კავშირის განთავისუფლებულ მოქალაქეთა გამომგზავრება სამშობლოში.

## ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

### ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

უდიდესი სიხარული და შრომითი ენტუზიაზმის ახალი აღმავლობა გამოიწვია უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ **ი. ბ. სტალინის** 1944 წლის 23 ოქტომბრის ისტორიულმა ბრძანებამ ბელორუსიის მე-3 ფრონტის სახელოვანი ჯარების აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრის შესახებ.

**თბილისის საორთქლმავლო დეპოს** საამქროებში მოწყობილ საერთო კრებებზე მუშებმა პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს სტახანოველებმა. ისინი გამოსთქვამდნენ დიდ სიხარულს წითელი არმიის ამ ახალ გამარჯვებას გამო და კისრულობდნენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს. წვეთი რემონტის საამქროს კოლექტივმა ოქტომბრის გეგმა 3 დღით ადრე შეასრულოს და დამატებით გამოუშვას ერთი ორთქლმავალი. გარეცხვითი რემონტის საამქროს კოლექტივი თვის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით 2 ორთქლმავალს გამოუშვებს.

საამქროებში გამართულ კრებებზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბ. ხმიადაშვილმა, ფუტკარაშვილმა, გ. ბერიშვილმა, რ. ბაბიანმა და ს. სანაძემ.

**თბილისის ამრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში** წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებით აღფრთოვანებულმა სტახანოველებმა ა. მომელიძემ, ნ. ბაღანაშვილმა, ბოკუჩავამ, ლეონიძემ, ოსიპოვმა და სხვ. იკისრეს დავალებათა ვადამდე შესრულება. ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის ისინი ახალ საწარმოო საჩუქრებს მიუძღვნიან დედა-სამშობლოს.

— დაე გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს უფრო მზარდი ძალით ურტყამდეს წითელარმიული იარაღი,—სთქვა ფაბრიკის სანელოვანმა მქსოველმა ამხ. ნ. ბაღანაშვილმა. ჩვენი გამარჯვება მოახლოებულია. მტერი მიმწყვდეულია მის საკუთარ ბუნაგში და ადრე თუ გვიან მოსდებს ბოლო.

**ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲨᲘ,** რომლის დირექტორიც არის ამხ. კარკავა, მუშებმა გადასწყვიტეს წითელი არმიის აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრის თარიღი აღნიშნონ სტახანოვურ ვახტზე მასობრივი გმოსვლით, საწარმოო დავალებათა ორმაგი და სამმაგი შესრულებით. პირველ დღესვე, 24 ოქტომბერს, ბეგრმა მათგანმა უკვე გაანაღდა ეს დაპირება. ამხ. სკლიაროვმა ამ დღეს 312 პროცენტით შეასრულა დღიური საწარმოო დავალება ბრიგადირმა სტახანოველმა ფირსაკოვმა, რომელაც უკვე შეასრულა წლიური გეგმა, იკისრა 7 ნოემბრამდე დაამთავროს ყველა ის სამუშაო, რაც 1945 წლის 1 კვარტალისათვის არის გათვალისწინებული.

**კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის** სტახანოველმა ამხ. მიქაძემ მიტინგზე განაცხადა:

— გერმანელმა ავაზაკებმა თაკიანთი ღორული დინგი შემოსჩარეს ჩვენს საბჭოთა ბოსტანში, მაგრამ წითელმა არმიამ ისე მძლავრად დაარტყა მტერს, რომ ახლა ბრძოლა უკვე გერმანიის ტერიტორიაზე სწარმოებს, ფაშისტი მხეცის ბუნაგში, სადაც იგი მალე სავსებით იქნება მოსპობილი. ამხ. მიქაძემ წითელი არმიის სახელოვანი გმირჯვრების პასუხად 24 ოქტომბერს დღიური საწარმოო დავალება ვადაზე ადრე გაანაღდა. სტახანოვურ ვახტზე დამდგარმა ამხ. რ. დემეტრაშვილმა ერთი დღის განმავლობაში ოთხი ნორმა შეასრულა.

შრომითი ენტუზიაზმის ასეთივე მძლავრი აზვირთებით აღინიშნეს აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარების ძლევამოსილი შეჭრა თბილისის მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებში. თბილისის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან მშობლიურ დიდ **სტალინს.** გმირ წითელ არმიას და ამ ახალ ისტორიულ გამარჯვებას აღნიშნავენ თრონტული მუშაობით, საწარმოო დავალებათა ვადამდე და მაღალხარისხოვანი შესრულებით.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

### 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

24 ოქტომბრის განმავლობაში აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, შეუპოვარი ბრძოლებით დაიკავეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები და მათ შორის ᲘᲝᲜᲯᲔᲜᲔᲜ, ᲓᲐᲒᲣᲗᲔᲜᲔᲜ, ᲕᲔᲠᲮᲣᲠᲔᲜᲔᲜ, ᲙᲘᲞᲐᲠᲗᲔᲜᲔᲜ, ᲨᲘᲚᲘᲜᲓᲘᲜᲔᲜᲔᲜ, ᲢᲠᲔᲘᲙᲔᲜᲔᲜᲔᲜ, ᲔᲜᲪᲣᲜᲔᲜᲔᲜ, ᲟᲣᲠᲒᲣᲜᲔᲜᲔᲜ, ᲢᲔᲘᲖᲔᲚᲔᲜᲔᲜ, ᲒᲣᲠᲜᲔᲜᲔᲜ, ᲠᲘᲒᲔᲚᲔᲜᲔᲜ, ᲑᲘᲢᲙᲘᲜᲔᲜᲔᲜ.

ქალაქ ᲮᲣᲗᲐᲚᲙᲘᲡ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს ავგუსტოვის ტყეები, დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲝᲕᲘ, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ᲚᲘᲞᲜᲘᲪᲐ, ᲡᲘᲓᲛᲐᲠᲘ, ᲡᲚᲐᲒᲜᲘᲪᲐ, ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲡᲬᲣᲓᲐ, ᲘᲣᲜᲯᲔᲤᲝᲜᲘᲪᲐ, ᲠᲣᲓᲜᲘᲙᲘ, ᲝᲚᲭᲐᲜᲘᲐ, ᲐᲢᲔᲜᲘ, ᲙᲝᲞᲐᲜᲘᲪᲐ, ᲡᲢᲠᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲩᲜᲐ, ᲚᲘᲞᲝᲠᲔᲪᲘ და რკინიგზის სადგურები ᲞᲝᲚᲔᲓᲣᲜᲣᲕᲙᲘ, ᲙᲚᲝᲪᲙᲘᲩᲜᲝ, ᲨᲔᲠᲔᲙᲘ.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მუᲙᲐᲩᲔᲕᲘᲡ აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური ᲮᲣᲢᲐ, აგრეთვე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ᲕᲝᲚᲝᲕᲝ, ᲠᲝᲚᲐᲜᲐ, ᲡᲕᲐᲚᲐᲕᲐ, ᲡᲘᲜᲘᲪᲘᲕᲘᲩᲘ, ᲜᲘᲫᲜᲘᲐᲜᲐ ᲙᲝᲚᲝᲩᲐᲕᲐ, ᲓᲠᲐᲒᲝᲕᲝ, ᲜᲐᲜᲔᲙᲝᲕᲝ, ᲘᲖᲐ, ᲡᲝᲙᲘᲠᲜᲘᲪᲐ, ᲕᲘᲨᲙᲝᲕᲝ.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ᲙᲔᲛᲔᲠᲨᲐᲜᲐ, ᲢᲣᲠᲪᲘ, ᲒᲔᲠᲪᲔ-ᲛᲐᲠᲘ, ᲒᲔᲠᲪᲔ-ᲛᲘᲙᲔ, ᲙᲔᲚᲘᲜᲔᲨᲢᲘ, ᲚᲘᲞᲕᲐᲓᲐ, ᲛᲔᲓᲔᲠᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲘ-ᲛᲝᲜᲢᲘᲜᲣᲚᲘ, ᲙᲔᲜᲘᲰ, ᲞᲔᲢᲠᲔᲨᲢᲘ, რᲔᲡᲘᲜᲒᲘᲐ და რკინიგზის სადგურები ᲞᲐᲣᲚᲔᲨᲢᲘ, ᲐᲛᲐᲪᲘ, ᲚᲣᲓᲛᲘᲜᲔᲜᲘ, ᲢᲘᲠᲘᲐᲜᲘ. ჩვენი ჯარები შეიჭრნენ ქალაქ ᲡᲐᲢᲣ-ᲛᲐᲠᲔᲨᲘ, სადაც ბრძოლები გაიჩაღეს ქუჩებში.

ქალაქ ᲡᲔᲓᲔᲓᲘᲡ ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ᲙᲘᲜᲯᲮᲣᲜ ᲯᲐᲚᲐᲨᲘ, ქალაქი და რკინიგზის სადგური ᲘᲐᲜᲝᲨᲮᲐᲚᲛᲐ (ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲐᲩᲘ).

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

23 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 131 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 47 თვითმფრინავი.

* * *

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲙᲔᲑᲘᲡ, ᲒᲣᲒᲑᲘᲜᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲖᲔ (ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲞᲠᲣᲡᲘᲐᲨᲘ)

23 ოქტომბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ თავდასხმები მოახდინა დარკემენის, გუმბინენისა და ინსტერბურგის რკინიგზის კვანძებზე (აღმოსავლეთ პრუსიაში).

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების მსვლელობაში დაიკავეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი გამაგრებული პუნქტები. გერმანელებმა გარღვევის რაიონში სასწრაფოდ გადმოიყვანეს ოთხი სატანკო დივიზია მათ შორის „სს“-ელთა დივიზიები „დიდი გერმანია“ და „გერმან გრინგი“, ორი საკავალერიო ბრიგადა, აგრეთვე ქვეითი და სპეციალური ნაწილები. ტყვეები ამბობენ, რომ გერმანიის სარდლობამ თავის ჯარებს უბრძანა — რადაც უნდა დაჯდეს და ყოველგვარი მსხვერპლის ფასად განდევნოს საბჭოთა ჯარები აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს იქით. გერმანელებს განუწყვეტლივ გადმოპყავთ კონტრიერიშებზე ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს ყველა კონტრიერიში, დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. ერთი დღის ბრძოლებში გაჟღერილია 3 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 120-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

წითელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, გმირობისა და სამხედრო ოსტატობის მაგალითებს გვიჩვენებენ. მებრძოლ კოლესნიკოვის სატყვიამფრქვევო გუნდმა მტრის კონტრიერიშის მოგერიების დროს 40-ზე მეტი ჰიტლერელი, დახოცა უფროსს ლეიტენანტ ბაშკეევის ასეულის გვარდიელებმა იერიშით დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი მაღლობი და ტყვედ წამოიყვანეს 100-ზე მეტი გერმანელი. ამ მაღლობზე ხელთ ვიგდეთ სანადმტყორცნო ბატარია და მძიმე ქვეშეხი საწვეერიანად. გვარდიის რიგითმა ფრულ ბარსუკოვმა ტანკსაწინააღმდეგო გრანატებით აეფეთქა ძელმიწური საცეცხლე წერტი. ძელმიწური საცეცხლე წერტის ნანგრევებში 12 გერმანელი დაიღუპა.

საბჭოთა მფრინავები აქტიურად ეხმარებიან სახმელეთო ჯარების მოქმედებას. ჩვენი ავიაცია ბომბების დარტყმითა და იერიშებით სპობდა მოწინააღმდეგის ქვეითს ჯარსა და ტანკებს. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 15 ავიაგამანადგურებელი. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სუვალკის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგე გამაგრდა ხელსაყრელ პოზიციებზე ავგუსტოვის ხშირ ტყეებში. საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს დანაღმული მინდვრები, ტყის უდიდესი ხერგები და გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა. გაფთრებული ბრძოლების მოხდა ქალაქ ავგუსტოვის — მოწინააღმდეგის ციხისათვის, რომელიც იფარავდა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების მისადგომებს. ეს ქალაქი მდებარეობს ნეიკოსა და საინოს ტბებს შუა. ქალაქის აღმოსავლეთით არის ბისტროს არხი. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ტბებს შუა და სწრაფი დარტყმით დაიკავეს ავგუსტოვის რკინიგზის სადგური. დღეს დილაადრიან ნ ნაწილის მებრძოლები მათს ხელში არსებულ საშუალებებით და ცურვით გადავიდნენ ბისტრის არხში და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს ქალაქი ავგუსტოვი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ჯარები, რომლებიც მდინარე ტისის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ უტევენ, ქალაქ ხუსტის ახლო მისადგომებზე გავიდნენ. ეს ქალაქი, რომელიც კარპატის მთების სამხრეთ კალთების ძირში მდებარეობს, იფარავს ჩეხოსლოვაკიის ქალაქების მუკაჩევოს და უჟგოროდისაკენ გასასვლელს. მოწინააღმდეგე მთელი საშუალებებით ცდილობდა გაგაძკლავებოდა ამ ზღუდეზე. ჩვენმა ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და ქალაქში შეიჭრნენ. მთელ ღამეს გრძელდებოდა ქუჩებში ბრძოლები. დილისათვის რკინიგზის სადგური და ქალაქი ხუსტი გაწმენდილ იქნა გერმანელთაგან. ბრძოლის მსვლელობაში გაჟღერებულია 600-ზე მეტი ჰიტლერელი. გერმანელებს წაგართვით 13 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. წამოყვანილია 380 ტყვე.

* * *

უნგრეთის ტერიტორიაზე, ქალაქ სეგედის ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენი ჯარები შეიჭრნენ ქალაქ კიშკუნ-ხალაშის — დიდმნიშვნელოვანი რკინიგზების კვანძის გარეუბნებში. მტერი ქვეტკირის სახლებში გამაგრდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ჩვენმა ქვეითებმა და არტილერისტებმა, რომლებიც გარს ერტყმოდნენ ქუჩებსა და სახლებს, სადაც ჰიტლერელები გამაგრდნენ, ჩაახშეს წინააღმდეგობის მრავალი კერა და ქალაქი დაიკავეს. ტყვედ წამოყვანილია 600-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი იანოშხალმა (იანკოვაცი), რომელიც 30 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ სუბოტიცის ჩრდილო-დასავლეთით.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ლიბავის ნავსადგურში ჩასძირა მოწინააღმდეგის ორი ტრანსპორტი. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

## ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲛᲮᲔᲪᲘᲡ ᲑᲣᲜᲐᲒᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲨᲔᲦᲔᲬᲘᲚᲘᲐ!

ამრიგად, აღსრულდა! დამსჯელი ხელი ისტორიული მართლმსაჯულებისა მაგრამ სწვდა ყელში ავაზაკებს, რომლებიც თავიანთ დაუსჯელობაში ესოდენ თავხედურად გულდაჯერებულნი შემოესივნენ რუსეთის მიწა-წყალს გასაძარცვავად და გასაპარტახებლად. „ჩვენი საზღვარი მდინარე ამურზე იქნება და არა მდინარე ნემანზეო“,—ასე გამოსთქვამდნენ ალტაცებას ჰიტლერული გაზეთები კენიგსბერგსა და ბერლინში 1941 წლის ზაფხულის დამლევს.

ახლა ისინი ალბათ შეეცდებიან დაიგიწყონ თავიანთი ეს სულელური „წინასწარმეტყველება“. მაგრამ ჩვენ არ დავიიწყებთ, ისევე როგორც არ დავიიწყებთ იმას, რომ სწორედ აღმოსავლეთი პრუსია მუდამ იყო მთავარი კერა, იდეოლოგიური სანაშენო გერმანიის იმპერიალიზმისა მისი უაღრესად შეუკავებელი, ყველაზე ულმობელი, გულქვა და აგრესიული ფორმით.

ჰიტლერის ლოზუნგი,—„კოლონიზაცია კი არ ვაწარმოოთ, არამედ ვქლიტოთო“—ამ ფეიცმა ეფრეიტორმა უკვე მზა სახით აიღო კენიგსბერგისა და ტილზიტის პრესიდან, რომელიც ძველთაგანვე ურჩევდა გერმანელებს გამოეყენებინათ ეს კაცობრიული „რეცეპტი“ პოლონელებისა და ლიტველების მიმართ. და ჩვენ, იმ ადამიანებმა, რომლებიც სპეციალურად ვსწავლობთ დოკუმენტაციას გერმანელთა მხეცობის შესახებ, დიდი ხანია გამოვარკვიეთ, რომ გერმანელთაგან ყველაზე ველური და სისხლმოწყურებული მხეცები სწორედ პრუსიელები იყვნენ.

დიდება სტალინური წითელი არმიის მეომრებს! ისინი დამსახურებისამებრ მიუზღავენ ფაშისტ მხეცს. ისინი უკვე შეიჭრნენ მის ბუნაგში და იქ მოუღებენ მას ბოლოს!

დიდება ჩვენს სტალინს!

**აკადემიკოსი Ე. ᲢᲐᲠᲚᲔ.**

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. (საკდესი).

### ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ

მოსკოვში იხსნება მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი მეცნიერთათვის. მეცადინეობა ნავარაუდევია 2 წლის ვადით. პროგრამაში სსრ კავშირის ისტორიის, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ლექციებთან ერთად შეტანილია დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი კურსი.

დედაქალაქის მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენენ უნივერსიტეტისადმი. უკვე ჩარიცხულია 200-ზე მეტი მსმენელი—მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, პროფესორები, დოცენტები, უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მუშაკები.

23 ოქტომბერი. (საკდესი).

### ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის დეპეშა, რომლითაც იგი ბელადის სახელობის ქარხნის მუშებს, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს ულოცავს 1944 წლის სექტემბერში კარგი მუშაობისათვის გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებას.

„გზათა სახალხო კომისარიატი.—ნათქვამია დეპეშაში,—მოგილოცავთ გარდამავალი წითელი დროშის მიღებას და ქარხნის მთელს კოლექტივს და პირადად ქარხნის უფროსს ამხ. ჭიჭინაძეს უცხადებს მადლობას სექტემბერში მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. მოგიწოდებთ შეინარჩუნოთ ეს მიღწევები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ რიტმულობას მუშაობაში, უზრუნველყოთ ორთქლმავლების, ვაგონებისა და სათადარიგო ნაწილების თანდათანი გამოშვება მოცემული ნომენკლატურის მიხედვით და განუწყვეტლად იბრძოლოთ ორთქლმავალთა რემონტის თვითღირებულების შემცირებისათვის. გზათა სახალხო კომისარიატი იმედს გამოსთქვამს, რომ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წ

მეავტომატეები უფროსი სერჟანტები ა. ვ. ვაშალომიძე და ჭ. ვ. ცხვარაძე მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის თვითეული მათგანი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის და დიდების ორდენებით.

# ჩვენი ჯარები აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრნენ

23 ოქტომბერი ღირსშესანიშნავი თარიღია სამამული ომის ისტორიაში. ამ დღეს მოსკოვის სალუტმა გვამცნო, რომ არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ხანგრძლივი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს იფარავდა, და აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში შეიჭრნენ.

სრული პროფილის სანგრების ხაზები, დაწაღნული მინდვრები, მაგთულღობურების ხშირი ქსელი, ბრუნოს სპირალები, დიდძალი მძლავრი რკინაბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები, ბრავალი ღია სატყვიამფრქვევი მოედანი, ტანკსაწინააღმდეგო ორმოები—ასეთი ხასიათისაა მტრის თავდაცვითი ზღუდეები აღმოსავლეთ პრუსიის მისადგომებზე. და ასეთი კარგად მომზადებული ზღუდეები მტრის ტერიტორიის წინ რამდენიმე იყო. ისინი განლაგებულია ერთმანეთისაგან 3-4 კილომეტრი ინტერვალით. ხოლო მათს უკან განლაგებული იყო მძლავრი გამაგრებული რაიონების მთელი სისტემა, რომლებიც აღჭურვილი იყო რკინაბეტონის ნაგებობებით. ასობით საარტილერიო ბატარია, რომლებიც განლაგებული იყო თავდაცვის წინა კიდეზე და სიღრმეში, იფარავდა მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონების მისადგომებს.

მტრის ტერიტორიაზე შეჭრას გულდასმით ამზადებდა ჩვენი ჯარების ყველა გვარეობა. ყველანი—ჯარისკაცით დაწყებული და გენერლით გათავებული—მოუთმენლად ელოდნენ იმ მომენტს, როცა ისინი დაარტყამდნენ ფაშისტებს მათს ტერიტორიაზე. ღიღადამ საწყისი პოზიციებისაკენ მიდიოდნენ ტანკები, ქვემეხები, მანქანები საომარ მასალითა და საწყობიანად, უწყვეტ ნაკადად იძროდნენ სატვირთო მანქანები. თვითმფრინავები განუწყვეტლივ ბარაჟირობდნენ ფრონტის ხაზის თავზე და საშუალებას არ აძლევდნენ გერმანელ მზვერავებს თვალყური ედევნებინათ ჩვენი ღივნიზების მოძრაობისათვის, ტექნიკის მიტანისათვის.

იერიში დაიწყო ღამის ავიაციის მასირებული თავდასხმებით.

დილაადრიან ამოქმედდა საბჭოთა არტილერია. ასობით ბატარია ურტყამდა წინასწარ ჩანიშნულ მიზნებს. საშინელი ძალის საკვემფრო კანონადამ ორ საათს გასტანა. ცეცხლის გრიგალი მძვინვარებდა მოწინააღმდეგის განლაგებაში. ფაშისტთა თავდაცვითი ნაგებობანი ინგრეოდნენ ჩვენი არტილერისტების მძლავრი დარტყმებით.

გაჩაღებული საარტილერიო მზადების დროს აფრინდნენ 5 ნაწილის მოიერიშეები. საბჭოთა კავშირის გმირმა მიზეილ სმირნოვმ წაიყვანა თვითმფრინავთა პირველი ეშვსეული. მფრინავებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგს.

მაგრამ აი წუთით მიწყნარდა საარტილერიო კანონადა. შესწყდა საავიაციო ბომბების აფეთქება. ამ მომენტში ბრისსანე სიხუმე დაირღვა მძლავრმა „ვაშამ“. საიერიშოდ გაემართა საბჭოთა ქვეითი ჯარი. იერიშზე გადასული ყოველი ჩვენი მებრძოლი გამსჭვალული იყო ერთი სურვილით—პირველი შეეჭრილიყო გერმანელთა სანგრებში, პირველი მისულიყო გერმანიის საზღვრამდე, პირველი შესულიყო გერმანიის მიწა-წყალზე დამსჯელი ხმლით...

კვლავ აერიალდნენ ქვემეხები. ქვეითები უშუალოდ მიჰყვებოდნენ ცეცხლის ტალღას და „ეახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის განლაგებას, ხოლო შემდეგ სწრაფი ნახტომით შეიჭრნენ მტრის თავდაცვაში. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლები. ჰიტლერელები შედრკნენ და უკან დახევა დაიწყეს.

ჩვენი ნაწილები სდევნიდნენ მოწინააღმდეგს და ათავისუფლებდნენ საბჭოთა ლატვის მიწა-წყლის უკანასკნელ კილომეტრებს. ქვეითები, ტანკისტები და არტილერისტები ელეტდნენ ჰიტლერელებს, მუსრავდნენ მათს თავდაცვითს ზღუდეებს და გერმანიის ტერიტორიაზე იჭრებოდნენ. ეს იყო სიტყვით გამოუთქმელი წუთი, რომელზედაც ბევრი ოცნებობდა, როდესაც გერმანელებს ელეტდნენ ჯერ კიდევ მოსკოვის ახლო მდებარე ადგილებში და სმოლენსჩინაში, ბელორუსიაში და ლიტვის მიწა-წყალზე. ბრძოლის სიფიცხით მოცული საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები მტერს ელეტდნენ მის ბუნაგში.

აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე გაჩაღდა უდიდესი მასშტაბის ბრძოლა. ჰაერში, სადაც უნდა გაიხედო, მდიდან საბჭოთა მოიერიშეები და ბომბდამშენები. მათ შორის ნავარდობენ ფრთამაორდი ავიაგამანადგურებლები. მიწის პირზე მტვრის სქელი ღრუბლებია. ტანკების მფარველობით იერიშზე გადაა ქვეითი ჯარი. საწვერებს მიჰყვებიან მძიმე ჰაუბიცები. ბრძოლის მსვლელობაში ისინი საცეცხლე პოზიციებს იცვლიან. ბრძოლა სულ იქით და იქით დასავლეთისაკენ გადადის. აი უკვე საბჭოთა გვარდია გამანადგურებლად ურტყამს მტრის ჯარებს გერმანიის ქალაქ შირვინდტის ქუჩებში.

წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი შირვინდტი და სწრაფად მიიწევდნენ წინ მტრის ტერიტორიის სიღრმეში, ბრძოლებით იკავებდნენ მოწინააღმდეგის სხვა გამაგრებულ პუნქტებს, რომლებიც განლაგებული იყვნენ აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. მტერი მძვინვარებდა. მას ზედიზედ მოჰქონდა კონტრიერიში. გერმანელებს ბრძოლაში გამოჰყავდათ ქვეითი ჯარის ახალი ნაწილები და ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დიდი ჯგუფები. ჰაერში ბაკქიაურდა ჰიტლერელთა ავიაცია. მაგრამ არაფერს არ შეეძლო ჩვენი მეომრების შეტევის შეჩერება. მოწინააღმდეგის კონტრიერიშები სრული ბარგსით დამთავრდა.

დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ჩვენი სატანკო ქვეგანაყოფები. სატანკო ეკიპაჟები სპობდნენ გზებში გაკეთებულ მტრის საფრებს, იგერიებდნენ თვითმავალი ქვემეხების დარტყმებს და მიჰქროდნენ წინ, დასავლეთისაკენ. ხშირად ტანკისტები არ ელოდებოდნენ ქვეითი ჯარის მოსვლას, აფართოებდნენ გარღვევას. გერმანელთა თავდაცვაში და წინ მიიწევდნენ, მოწინააღმდეგის ერთი დიდნიშნელოვანი დასაყრდენი პუნქტის რაიონში საბჭოთა სატანკო ქვეგანაყოფებმა გადასჭრეს მთელი რიგი საროკადო გზატკეცილები და უკანდასახევი გზა მოუჭრეს გერმანელთა დიდ დაჯგუფებას.

ბრძოლების მსვლელობაში ჰიტლერელებს მძიმე ზარალი მოსდით. სანგრებში, ხანგრძლივ საცეცხლე წერტილსა და ბლინდაჟებში ჰყრია ათასობით გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამი. ჰიტლერელთა გვამებით პირდაპირ მოფენილია გზები და დიდი დასახლებული პუნქტების გარეუბნები და ქუჩები. მძიმე ქვემეხთა ასეულის ტყვიდ წამოყვანილმა მეთაურმა ოაკითხვიზე სთქვა, რომ, მის გარდა, ასეულში ორი ჯარისკაცი გადარჩა. ასეთივე ზარალი მოუვიდა გერმანელთა ბევრ სხვა ქვეგანაყოფსაც.

საფრონტო გზებში, გერმანელთა დაკავებული ქალაქების მისადგომებზე, დასახლებული პუნქტების ქუჩებში ჰყრია გერმანელთა ასობით დამტვრეული ქვემეხი, ტანკი, თვითმავალი ზარბაზანი და ჯავშანტრანსპორტიორი. საბჭოთა ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები გაანგრძობენ წარმატებითს შეტევას.

ჯ. პუხოვი

**აღმოსავლეთი პრუსია, 24 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.).**

# შორეულ ჩრდილოეთში

**კარელიის ფრონტი,** 23 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). კარელიის ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი პეტსამო (პეჩენგა) და განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს, ამასთან მოწინააღმდეგისაგან სწმენდენ პეჩენგის ოლქის ტერიტორიას.

გერმანელთა ლაპლანდიის დაჯგუფების შებრტყილი დიენზიები ჩვენი ნაწილების დარტყმების გამო დასავლეთისაკენ იხევენ, ამასთან დიდი ზარალი მოსდით.

მტერი ცდილობს შეაჩეროს წინსვლა საბჭოთა ჯარებისა, რომლებიც პეტსამოს რაიონიდან უტევენ. პეტსამო-სალმიიარვისა და პეტსამო-დაბა ნიკელის გზებზე გერმანელები თავიანთი ნაწილების უკანდახევას არტილერიის ცეცხლით იფარავენ. უკანასკნელ დღეებში ამ უბანზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა აგრეთვე გერმანიის ავიაციის აქტივობა.

მაგრამ ჰიტლერელები ვერ ახერხებენ საბჭოთა მეომრების შეჩერებას. ჩვენი ქვეგანაყოფები დიდ ზარალს აყენებენ გერმანელებს და მოწინააღმდეგისაგან ზედიზედ ათავისუფლებენ დასახლებულ პუნქტებს.

ნ ნაწილი, რომელიც მტერს სდევნიდა, შეიჭრა პეჩენგის ოლქის დიდმნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრ დაბა ნიკელში. ნიკელის სამადნოებს, რომლებიც ძვირფასი ნედლეულით ამარაგებდნენ გერმანიის სამხედრო მრეწველობას, განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავდნენ გერმანელები. საბჭოთა მებრძოლებმა ღამის განმავლობაში შემოვლითი მანევრი მოაწყეს, დაბას მიადგნენ და გაფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს იგი.

მიიწევდნენ რა დასავლეთისაკენ, კარელიის ფრონტის ჯარები მიადგნენ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს ნორვეგიასთან მნიშვნელოვან უბანზე — ბარენცის ზღვის სანაპიროდან კუეტს-იარვის ტბამდე.

ს. მოროზოვი

# წითელი არმიის მებრძოლებმა გაათავისუფლეს გერმანელების მიერ ჭყვედ წაყვანილ ეგვიპტელთა ჯგუფი

1941 წელს ატლანტის ოკეანეში გერმანელებმა ჩასძირეს ეგვიპტის კომერციული გემი „ზამ-ზამი“. ამ გემის ეკიპაჟი და მგზავრები 104 კაცის რაოდენობით გერმანელებმა დატყვევეს და გერმანიაში გაგზავნეს. 1944 წლის დამდეგს ტყვე ეგვიპტელები გერმანელებმა ბულგარეთში გადაიყვანეს იმ მიზნით, რომ გაეცალათ ინგლისში მყოფ გერმანელ სამხედრო ტყვეებში. ბულგარეთის ტერიტორიაზე წითელი არმიის ჯარების წარმატებითი შეტევის შედეგად, ეს ეგვიპტელები, რომელთაგან 84 კაცი გემის ეკიპაჟის წევრია, ხოლო 20 კაცი—მგზავრი, საბჭოთა სამხედრო სარდლობის განკარგულებით განთავისუფლებული არიან გერმანიის ტყვეობიდან.

საბჭოთა მთავრობამ მითითება მისცა სამხედრო სარდლობას ეგვიპტელთა ეს ჯგუფი გადასცეს ბულგარეთში მყოფ ბრიტანეთის სამხედრო მისიას, რომელსაც გენერალი ოქსლეი მეთაურობს. (საკდესი).

# თესვის ვადები გადის, დავალება შეუსრულებელია

(ტალინერი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებს საშემოდგომო ხვნა-თესვა ძირითადად 20 ოქტომბრისათვის უნდა დაემთავრებინათ. ფაქტიურად ამ დროისათვის დათესილი ყოფ გეგმის ერთ მეხუთედზე ცოტა მეტი. როგორც სჩანს, სტალინირის, ზნაურის, ჯავისა და ლენინგორის რაიონების ხელმძღვანელ ამხანაგებს ჯერ კიდევ არ გაუთვალისწინებიათ ის, რომ დაუშვებელია ხვნა-თესვის სამუშაოების გადადება და გაჭიანურება იმ მოტივით, რომ მოსავალი ყველგან მთლიანად არ არის აღებული, ან ზოგჯერ ცუდი ამინდია.

რა შუაშია ცუდი ამინდი, ან მოსავლის აღების სამუშაოების დაუმთავრებლობა, როცა ოლქის არც ერთ რაიონს მთლიანად ხორბლის თესლიც არ მოუმზადებია? 18 ოქტომბერს კოლმეურნეობებს საჭირო 23.492 ცენტნერი თესლიდან სათეს კონდიციამდე აყვანილი ჰქონდათ მხოლოდ 12.391 ცენტნერი. მარტო ზნაურის რაიონს მოუმზადებელი ჰქონდა 5.000 ცენტნერზე მეტი თესლი. დიდი ჩამორჩენაა სტალინირის რაიონში. აქ სოფელ ზემო რუსთავისა და შუა ტბეთის კოლმეურნეობებს 301,6 ცენტნერი ხორბლის თესლიდან ერთი ცენტნერიც არ მოუმზადებიათ. ღვალიანკარის კოლმეურნეობამ 22 ცენტნერიდან 12 ცენტნერი „გასწმინდა“, მაგრამ ისე, რომ სინამდვილეში ის უკონდიციო აღმოჩნდა. განსაკუთრებით ჩამორჩენენ ხეთაგუროვის, ბიკარისა და პრისის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები. აქედან სტალინირის რაიმოწვანს საჭირო დასკვნები არ გამოუტანია.

თესვის გეგმების შესრულებაში დიდი ჩამორჩენა აქვთ ზნაურისა და სტალინირის კოლმეურნეობებს. თესვას აქ რიგიანად არც კი შესდგომიან. ფრისის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ი. რომელაშვილი) კოლმეურნეობებს ევალებათ 627 ჰექტარი ხორბლეულის დათესვა, სინამდვილეში კი ხუთიოდე ათეული ჰექტარი დასთესეს. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ვანათის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე დ. გოიაევი) კოლმეურნეობებში. აქ 934 ჰექტარიდან დასთესეს 20-მდე ჰექტარი. ჩამორჩენილი არიან ბელოთის (თავმჯდომარე ზ. ვალიევი), ხეთაგუროვის და სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები. მათ საჭირო ზომები არ მიუღიათ იმისათვის, რომ ხარების ნაწილს ხვნა-თესვაზე ემუშავნა, ხოლო ჯორხალი და სიმინდი უმთავრესად ღამით ეზიდათ.

თესვის დაწყებამდე ნიადაგი უნდა მოიხნას და გაფხვიერდეს. ხვნის გაჭიანურება და მიწის სათანადოდ დაუმუშავებლობა ამცირებს მოსავლიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ვადები ამოიწურა, 5.000 ჰექტარიდან ზნაურის რაიონში საშემოდგომო მხოლოდ 300-მდე ჰექტარი მოხნეს, თითქმის ასევე ჩამორჩნენ სტალინირის, ჯავის და ლენინგორის რაიონები. მთლიანად ოლქში მოუხნავია 8.000 ჰექტარზე მეტი.

სტალინირის რაიონის სათიხარის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე გ. დოგუზოვი) კოლმეურნეობებს შეუძლიათ ყოველდღიურად ხვნა-თესვაზე 10-ზე მეტი გუთნეული ამუშაონ. ფაქტიურად ხარები სხვა სამუშაოებზეა გამოყენებული, ხვნის გეგმა კი მხოლოდ ერთი მეოთხედით არის შესრულებული. რაიონში 5.200 ჰექტარიდან საშემოდგომოდ მოხნულია მხოლოდ 2.000 ჰექტარამდე.

ცუდად მუშაობს სტალინირის მტს-ი (დირექტორი ამხ. მ. ბოისწრაფეიშვილი). აქ საშემოდგომო ხვნა მხოლოდ ამ დღეებში დაიწყეს და გეგმის შესრულება 10 პროცენტს არ აღემატება. მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ა. ბერუაშვილი) და მეხუთე (ბრიგადირი ვ. კულაევი) ჯერ ხვნას არ შესდგომიან. შრომის ნაყოფიერება დაბალია ი. ლახოვის და მ. ჭოხელის ბრიგადებში. მტს-ს თესვა 18 ოქტომბერსაც არ ჰქონდა დაწყებული (გეგმით უნდა დასთესოს 500 ჰექტარი). მტს-ს არ მოუწყვია მოძრავი სახელოსნო. ტრაქტორების ნახევარზე მეტს ღამით განათება არა აქვს. აკლიათ 60-მდე სახნისი. ზოგჯერ აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვას ყურადღება არ ექცევა. მტს-მა სტალინირის რაიონის სოფელ ერედის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის 60 ჰექტარი ნაცვლად 20-22 სანტიმეტრისა, 10-14 სანტიმეტრის სიღრმეზე მოუხნა.

მტს-ის მუშობას ხელს უშლის ზოგიერთი კოლმეურნეობაც. ზნაურის რაიონის სოფელ შუა ქვათეთრის, ზემო ქვათეთრის, გობოზნის და სხვა კოლმეურნეობებში 20 დღეზე მეტია სიმინდის ყანა მომწიფებულია, მაგრამ აღება დაგვიანეს. აქ 90 ჰექტარი მაინც უნდა მოეხნა მტს-ის მეექვსე სატრაქტორო ბრიგადას, მაგრამ ფაქტიურად კოლმეურნეობათა მიზეზით 3 ტრაქტორიდან მხოლოდ ერთი ამუშავეს და ისიც მზრალად ხვნაზე. სატრაქტორო ბრიგადებს სათანადოდ არ უწყობენ ხელს ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც. სოფელ შუა ტბეთის კოლმეურნეობამ ბრიგადას სუსტი დამხმარე გამოუყო, ხოლო ზემო ტბეთის კოლმეურნეობამ ურმის გაგზავნა და საწვავის მიწოდება დაგვიანა. ამის გამო ტრაქტორი ნახევარ დღეს მოსცდა.

მზრალად ხვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღების საქმეში. მაგრამ ეს გარემოებაც ყველგან არ არის გათვალისწინებული. ჯავის რაიონის კოლმეურნეობებმა ვეგმა მხოლოდ 10-მდე პროცენტით შეასრულეს, ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებმა—25-მდე პროცენტით. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაშია. სტალინირის რაიონის ქერთისის სასოფლო საბჭოში 13 კოლმეურნეობაა. მათ მზრალად 200 ჰექტარი უნდა მოეხნათ, მოხნეს 120 ჰექტარამდე, ბიკარის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებს კი 100 ჰექტარიდან ერთი ჰექტარიც არ მოუხნავთ. ჩამორჩნენ ავრეთვე ქემერთის, გერისის, ბელოტის, სათიხარის და სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები. რაიონში მზრალად მოუხნავია 500 ჰექტარზე მეტი.

საშემოდგომო ხვნა-თესვის ახლანდელი ტემპები ვერ უზრუნველჰყოფენ გეგმების უახლოეს დღეებში შესრულებას. უნდა აღვაკვეთოთ სამუშაოთა რიგ-რიგობით წარმოების პრაქტიკა, მოვაწესრიგოთ შრომა, არ დაეუშვათ გაცდენა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ თვითეული ბრიგადა, რგოლი, ყველა კოლმეურნე და ტრაქტორისტი წარმატებით ასრულებდეს დავალებებს.

დრო გადის. ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად.

ტ. თოდრაძე

# დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა

**ბათუმი,** 24 ოქტომბერი (საქდესი). დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. გონიოს ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულია ლიმონის კრეფა. ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ შეუდგა მანდარინის კრეფას.

მოკრეფილ ციტრუსოვანთა ნაყოფის პირველ პარტიებს ამზადებენ მოსკოვის მშრომელთათვის გასაგზავნად ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

# ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულება

რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს. მოკრეფილი და ჩაბარებულია 6.290.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით.

კრეფა გრძელდება.

**საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ბ. ჩაჩიბაია**
**რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ჯიპოლნია**

• • •

ქობულეთის რაიონში 20 ოქტომბრისათვის შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 8.028.700 კილოგრამი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.024.000 კილოგრამისა.

მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 2.847.288 კილოგრამი.

**საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ჭანუშვაძე**
**რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეკაძე**

# სოციალისტური ფრანსპორტი მოითხოვს მაღალხარისხოვან ორთქლმავლებს. ვაგონებს

## სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი

ჩვენს რკინიგზის ტრანსპორტს სჭირდება მაღალხარისხოვანი ორთქლმავლები, ვაგონები, სათადარიგო ნაწილები. იმისათვის, რომ ტრანსპორტმა შეუფერხებლად იმუშაოს, საჭიროა მაღალხარისხოვანი, უდეფექტო მოძრავი შემადგენლობა.

ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ თვეებში შესაძლებელად გაიუმჯობესა მუშაობა, გაზარდა გეგმის შესრულების მაჩვენებლები. მაგრამ ჯერ კიდევ არის დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, ზოგი ასორტიმენტის მიხედვით გეგმების შეუსრულებლობის შემთხვევები. რა იწვევს ამას, რისი გაკეთებაა საჭირო იმისათვის, რომ ქარხნის კოლექტივმა პირნათლად შეასრულოს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მის წინაშე დაყენებული საწარმოო ამოცანები?

ამ საკითხების განსახილველად ქარხანაში მოიწვიეს პარტიულ-სამეურნეო აქტივი, რომელსაც 150-მდე მოწინავე ადამიანი დაესწრო. თათბირი გახსნა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ციბეკიძემ. მოხსენებით კოლექტივის საწარმოო საქმიანობის შესახებ გამოვიდა ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი ამხ. ა. ხოჯაშვილი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას უმთავრესად ის გარემოება იწვევს, რომ ყოველთვის ზუსტად არ იცავენ ტექნოლოგიურ დისციპლინას, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ცალკე საწარმოო პროცესები მაღალი ტექნიკური დონით სრულდებოდეს. ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვა საწარმოო დავალებათა მაღალხარისხოვნად შესრულების საწინდარი. თვითეული ხელმძღვანელი საამქროში ბრიგადაში და უბანზე, თვითეული მეშა უნდა იბრძოდეს ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის აღკვეთისათვის რამდენიმე ხნის წინათ ქარხნის მუშაობის საკითხი განხილა გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ, რომელმაც დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანები. ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ვალია დაუღალავად იბრძოლონ ამ ამოცანების შესასრულებლად.

მომხსენებელმა თათბირის მონაწილეებს აცნობა სასიხარულო ამბავი: ამბანაგ ლ. მ. კაგანოვიჩისაგან მიღებულია მისალოცი დეპეშა ქარხნისათვის სექტემბერში კარგი მუშაობის შედეგად გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშის მინიჭების გამო.

ამხ. ა. ხოჯაშვილის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კ. სარალიძემ, ი. ნეფარიძემ, შ. თევზაძემ, გ. მხითარიანმა, ფილმონოვმა, გოგიჩაიშვილმა და სხვ.

ორატორები მკვეთრად აკრიტიკებდნენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ქარხნის კოლექტივის მუშაობაში ჯერ კიდევ გვხვდება. მოკამათეთა უმეტესობა შეჩერდა ღირძების საკისართა გახურების ხშირ შემთხვევებზე, რაც იმით ახიხსნება, რომ ამ პროდუქციის ხარისხი ქარხანაში ჯერ კიდევ დაბალია. აღინიშნა აგრეთვე არა საკმაო ზრუნვა მუშათა ახალი კადრის მოსამზადებლად.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა ქარხნის უფროსმა ამხ. დ. ჭეჭინაძემ დაახასიათა საამქროთა კოლექტივების მუშაობა და მოუწოდა მათ მაღალნაყოფიერი მუშაობისაკენ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

თათბირზე სიტყვით წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელინმა.

თათბირმა მიიღო ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ქარხნის კოლექტივის მთელი საწარმოო საქმიანობის მკვეთრად გაჯანსაღებისათვის

# დეპეშები

## ინგლისისა და ამერიკის პრესის გამოსვლები საბჭოთა კავშირის კომუნიკეზე ფოსკოვში ჩერჩილისა და იდენის ყოფნის შესახებ

**ლონდონი,** 22 ოქტომბერი. (საკდესი). „რეინოლდს ნიუსის“ დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ პოლონეთის საკითხი ამჟამად ერთადერთი გადაუწყვეტელი პრობლემა დარჩა. მაგრამ ძირითადად ეს პოლონელთა დაჯგუფებებს შორის უთანხმოების საკითხია. საერთო პრინციპებში ჩერჩილი და სტალინი, აცხადებს მიმომხილველი, სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს.

„ობსერვერი“ აღნიშნავს, რომ, იმდენად, რამდენადაც ეს ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გაფართოებას ეხება, მოსკოვის კონფერენცია უეჭველად წარმატებითი იყო. მაგრამ ეს ვერ სწყვეტს პოლონეთის პრობლემას. მიკოლაიჩიკის წინაშე რთული პრობლემა დგას, და მას აწუხებს ჯიუტ პოლონელთა და ზოგიერთ ქვეყანაში რუსების წინააღმდეგ განწყობილ ფანატიკოსთა მუდმივი ოპოზიცია.

**ნიუ-იორკი,** 22 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა კვლავ აქცევს ყურადღებას, რომლებშიც ხაზგასმულია გაერთიანებულ ერთა ერთიანობის განმტკიცება, რაც მიღწეულ იქნა იმ თათბირებზე, რომლებიც მოსკოვში სწარმოებდა ი. ბ. სტალინსა და უ. ჩერჩილს შორის. 22 ოქტომბერს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს, ყავს თითქმის მთელი სვეტი ციტატები „იზვესტიიდან“ და „პრავდიდან“, ავრეთვე მოსკოვის სხვა გაზეთებიდან, საიდაც, ამბობს კორესპონდენტი სწერს, „გამოჩენილია საერთო კმაყოფილება იმ საუბრებისა, რომლებმაც წინ წასწიეს მოკავშირეთა ურთიერთობის განმტკიცების საქმე და აღმოფხვრეს ზოგიერთი წინათ გადაუჭრელი რთული კითხი, ავრეთვე მოამზადეს კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რაც დაჩქარებს გერმანიის დამარცხებას“.

ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრესაგენტოებმა ავრეთვე გაავრცელეს ამონაწერები „იზვესტიასა“ და „პრავდაში“ დაბეჭდილი მოწინავე სტატიებიდან.

## გვაგზემაღლის ამბები

**ნიუ-იორკი,** 22 ოქტომბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გვატემალაში მოხდა აჯანყება, რომელსაც ახალგაზრდა ოფიცრები და სტუდენტები მეთაურობენ. ტრიუმვირატმა კაპიტან არბენის, მაიორ არანისა და სამოქალაქო წარმომადგენელ ტორიელიოს შემადგენლობით ახალი მთავრობა შეადგინა. აჯანყება დაიწყო პრეზიდენტის სიპატიო მცველი რაზმის ოფიცერთა და ჯარისკაცთა გამოსვლით. მცველი რაზმის მეთაური გენერალი კორადო მოჰკლეს. დედაქალაქში სწარმოებდა ვეიარაღებული ბრძოლა, რამაც 12 საათს გასტანა. აჯანყებულები ბარს შემოერტყნენ პრეზიდენტ პოსეს სასახლეს. პრეზიდენტი აჯანყებულებს დანებდა.

**ნიუ-იორკი,** 23 ოქტომბერი. (საკდესი). არსებული ცნობებით, მოძრაობა, რასაც დღად მოჰყვა გვატემალის პრეზიდენტ ჰოსეს ჩამოგდება, მოაწყეს ლიბერალთა, სტუდენტთა და მუშათა ორგანიზაციებმა. ბ. ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში რეაქციონერი დიქტატორი უბიკო ჩამოაგდეს.

პროგრესული „ცენტრალურ-ამერიკული მოკრატიული კავშირის“ თავმჯდომარემ სენტი საიენსმა განაცხადა, რომ გვატემალაში მომხდარი ამბები უდიერესად პოპულარია და გავლენას მოახდენს იმ მოძრაობაზე, რომლებიც მიმართულია ჰონდურასისა და ნიკარაგუას მთავრობა-დამხობისაკენ.

## ჩერჩილის ყოფნა კაიროში

**ლონდონი,** 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მოსკოვიდან უკან დაბრუნებისას ერთ დღეს დაჰყო კაიროში, სადაც დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკება ჰქონდა ხელმძღვანელ სამხედრო მოღვაწეებთან. მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა ერთ ერთ ადგილზე, ... ციას შესდგა, რამდენიმე საათს გაგრძელდა. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო გენერალური შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა ალან ბრუკმა და შუა აღმოსავლეთში მოქმედი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სარდალმა ბერნარდ პეიჯტმა.

## ჩერჩილმა ინახულა იჯალია

**ლონდონი,** 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბში იუწყებიან, რომ პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა და საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა ალან ბრუკმა მოსკოვიდან უკან დაბრუნებისას ერთი ღამე იტალიაში გაატარეს. ისინი სტუმრად იყვნენ საომარ ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ გენერალ ვილსონთან.

## საღამის თავს დაესწნენ

**ლონდონი,** 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, თაკს დაესწნენ უნგრეთის მარიონეტული „პრემიერ-მინისტრ“ სალაშის.

## ი. გრიშაშვილის საღამო

30 ოქტომბერს, საღამოს 7½ საათზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგება ი. გრიშაშვილის საიუბილეო საღამო მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის შ. დადიანი. მოხსენებას ი. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ წაიკითხავს აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე. მილოცვების შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი. ქართველი კომპოზიტორების მიერ ი. გრიშაშვილის ტექსტზე დაწერილ სიმღერებ